პარასკევის ქადაგება

م 2023/10/27 ١٤٤٥/٤/١٢هـ

პატივცემული შეიხ
დოქტორი

აბდულ მუჰსინ ბნუ
მუჰამმად ალ-ყაასიმ

სათაურით

განდიდება

a-alqasim.com

განდიდება*

ჭეშმარიტად დიდება ეკუთვნის ალლაჰს, ჩვენ მას ვადიდებთ, მას ვთხოვთ შეწევნას და პატიებას, ალლაჰს შევეფარებით ჩვენი სულების სიავისგან და ცუდი საქმეებისგან, ვისაც ალლაჰი დააყენებს სწორ გზაზე მას არ ჰყავს გზის ამბნევი, ხოლო ვისაც ალლაჰი აუბნევს გზას მას არ ჰყავს სწორ გზაზე დამდგენი. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი, და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მონა და შუამავალია. ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას, მის ოჯახს და მის საჰაბებს უამრავი მისალმებით.

---

*ეს ქადაგება ჩავატარე 1445 წლის, 22 რაბიულ ახირის თვეში, ჰიჯრით.
შუამავლის მეჩეთში

და შემდეგ:

გეშინოდეთ ალლაჰის - ალლაჰის მონებო - ჭეშმარიტი შიშით, გეშინოდეთ მისი ფარულად და აშკარად.

ჰეი მუსლიმებო:

ჭეშმარიტი თაყვანისცემა ალლაჰზე გამოიხატება მისი უკიდურესი სიყვარულით უკიდურეს მორჩილებასთან ერთად. ალლაჰის სახელებისა და ატრიბუტების შეცნობა არის ცოდნის ფუძე და დაფასება, ის არის ცოდნა, რომელზეც დგას ალლაჰის თავჰიდი და მასზეა თაყვანისცემა. სულების ყველაზი დიდი საჭიროება არის მათი შექმნელისა და გამჩენის შეცნობა, და არ არსებობს გზა ამისკენ მისი სახელებისა და ატრიბუტების შეცნობის გარეშე. როდესაც მონა შეიცნობს თავისი ღმერთის სახელებსა და ატრიბუტებს ის იქნება მისთვის ბედნიერებისკენ მიმავალი გზა, რომლითაც ის ეთაყვანება მას, ეყვარება და განადიდებს მას. რაც უფრო ემატება მონას ალლაჰის სახელებისა და ხარისხების ცოდნა მით უფრო ეზრდება მისი რწმენა და ძლიერდება მასზე მინდობა და შიში.

ყოვლადმაღალი ღმერთის ყველა სახელი არის შექების სახელი; ალლაჰმა აღწერა ისინი იმიტომ, რომ ისინი საუკეთესო სახელებია; მათი სრულყოფილი აღწერილობის მტკიცებულებებით, მისი სახელებიდან არის ასევე სახელი ალ-ქაბიირ (დიდი), რაც ნიშნავს თავისთავად უდიდესს, მის სახელებსა და ხარისხებში, რაც არწერილია მისი სიდიადითა და დიდებულებით.

ჭეშმარიტად ალლაჰი არის უდიდესი ყველაფერზე; არც ერთი ქმენილება არ იმსახურებს, რომ ეთაყვანონ ალლაჰის მაგიერ, და არავის აქვს უფლება რომ ეთაყვანოს ვინმეს, გარდა ალლაჰისა, თქვა ყოვლადქებულმა:

﴿ذَٰلِكَ بِأَنَّ ٱللَّهَ هُوَ ٱلۡحَقُّ وَأَنَّ مَا يَدۡعُونَ مِن دُونِهِ ٱلۡبَٰطِلُ وَأَنَّ ٱللَّهَ هُوَ ٱلۡعَلِيُّ ٱلۡكَبِيرُ﴾

„ეს იმის გამო, რომ ჭეშმარიტება ალლაჰია. ხოლო ის, რასაც მოუხმობენ მის გარდა სიცრუეა, და იმიტომ, რომ ალლაჰი უზენაესი, დიდებულია.“ (ალჰაჯჯ:62)

ქნილებათა რიცხვი უთვალავია, რომელთა ცოდნაც არ აღწევს ქმნილებებამდე, გარდა უდიდესი ალლაჰისა. თქვა ყოვლადმაღალმა:

﴿عَٰلِمُ ٱلۡغَيۡبِ وَٱلشَّهَٰدَةِ ٱلۡكَبِيرُ ٱلۡمُتَعَالِ﴾

„მცოდნეა დაფარულისა და გაცხადებულისა, დიდებულია და უზენაესი.“ (არ-რა’დ : 9)

ალლაჰი დიდებულია ის აღწერილია სიტყვებით, ხოლო მისი სიტყვები აღწერილია დიდებულებით, სიდიადით. თქვა შუამავალმა (ალლაჰი ლოცვა და მშვიოდბა იყოს მასზე):

„როდესაც ალლაჰი რაიმეს გადაწყვეტს ზეცაში, ანგელოზები ფრთებს შეარხევენ, რომ გამოხატონ მისი ბრძანების შესრულებაზე მზადყოფნა, მათი ხმა მსგავსია ქვებში შერეული ჯაჭვისა, როდესაც მათი ღმერთის შიში დატოვებს მათ გულებს, ისინი იტყვიან: რა თქვა თქვენმა ღმერთმა? უპასუხებენ: ჭეშმარიტება, ის უმაღლესი და უდიდესია“. (გადმოსცა ბუხარიმ)

ჩვენს ღმერთს ეკუთვნის სიდიადე და მეუფება, ის არის მოსამართლე მისი ქმნულებების, რომელიც ამართლებს მათ სამართლიანად.

﴿فَٱلۡحُكۡمُ لِلَّهِ ٱلۡعَلِيِّ ٱلۡكَبِيرِ﴾

„სამართალი ეკუთვნის ალლაჰს მაღალს და დიადს“.

ალლაჰმა უბრძანა თავის მონებს, რომ განადიდონ ის განდიდებით; დიდებულებითა და სიწმინდით ყოველი ნაკლისგან და სიავისგან, თქვა ყოვლადმაღალმა:

﴿وَقُلِ ٱلۡحَمۡدُ لِلَّهِ ٱلَّذِي لَمۡ يَتَّخِذۡ وَلَدٗا وَلَمۡ يَكُن لَّهُۥ شَرِيكٞ فِي ٱلۡمُلۡكِ وَلَمۡ يَكُن لَّهُۥ وَلِيّٞ مِّنَ ٱلذُّلِّۖ وَكَبِّرۡهُ تَكۡبِيرَۢا﴾

„უთხარი: დიდება ალლაჰს, ვისაც ძე არ დაუდგენია, და არც ყოლია თანაზიარი ხელმწიფებაში, არ არს მისდა უმწეობა და არც სჭირდება მეოხი. და თაქბირით (ალლაჰუ აქბარ) განადიდე იგი“. (ალ-ისრა : 11)

ცისა და მიწის მკვიდრთა ყველა თაყვანისცემა გამიზნულია მისი განდიდებისათვის, პატივისცემისა და დაფასებისთვის. და ამ მიზეზით განდიდება არის თაყვანისცემის რიტუალების ძირითადი შემადგენელი ნაწილი. ლოცვაში ალლაჰის განდიდება არის მისი სიდიადის წინაში თავის დამცირება და მორჩილება, და თაქბირები (ალლაჰუ აქბარ) ლოცვაში დღის განმავლობაში - აზანიდან დაწყებული, თავისუფალი ზიქრი ხუთ ლოცვაში და დამატებით ლოცვებში - შეადგენენ სამასსამოცდათხუთმეტ თაქბირს; თქვა შეიხულ ისლამამმა (ალლაჰმა შეიწყალოს ის): „მისი სიტყვები: ალლაჰი უდიდესია: ამაში არის მისი დიდებულების მტკიცებულება, რადგანაც დიდება მოიცავს სრულ სიდიადეს“.

ჰაჯობა არის რელიგიის გამოხატვის ნიშანი, რომლის რიტუალიც ერთღმერთიანობაა და ალლაჰის განდიდებით გამოიხატება საფასა და მარვაზე და ჯამარის წინ ქვების სროლისას.

უდიდეს დღეებში ალლაჰთან ყველაზე საყვარელი საქმე არის მისი მრავალჯერ განდიდება, თქვა შუამავალმა (ალლაჰმა დალოცოს ის და მიესალმოს):

„არ არის უფრო დიდებული დღეები ალლაჰთან, უფრო საყვარელი საქმე, ვიდრე ბოლო ათი დღე; და გაამრავლეთ მასში თაჰლილი(ლაა ილააჰა ილლა ლაჰ), თაქბირი(ალლაჰუ აქბარ) და თამჰიდი(ალჰამდუ ლილლაჰ)“. (გადმოსცა აჰმადმა)

ალლაჰის განდიდება სასურველია სიხარულის დროს; ორი დღესასწაულის დროს, სასიხარულო ამბის გაგებისას, თქვა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

„ვიმედოვნებ, რომ თქვენ იქნებით სამოთხის მკვიდრთა ნახევარი“, და თქვა აბუ საიდ ალ-ხუდრიმ : და განვადიდეთ ალლაჰი. (გადმოსცა ბუხარიმ)

ალლაჰის განდიდება დაკანონებულია მთვარის დაბნელებისას, რომელიმე უცნაური ან გასაკვირი რაიმის დანახვისას. ხალხმა შესთხოვეს შუამავალს, რომ გაეკეთებინა მათთვის ხე, რომელსაც ისინი განადიდებდნენ, მაშინ შუამავალმა თქვა: „დიდება ალლაჰს! ის ისეთივეა, როგორც ისრაელის ძეებმა თქვეს: „გააკეთე ჩვენთვის ღმერთი ისეთივე, როგორც მათ ყავთ ღმერთები“. (გამოსცა თირმიზი)

მოგზაურობას შეიძლება თან ახლდეს წუხილი და შიშები. ალლაჰის ხშირად განდიდებით შეიძლება ამ წუხილის შემსუბუქება და სიმშვიდის მოპოვება.

„როდესაც შუამავალი(ალლაჰმა დალოცოს ის და მიესალმოს) დააპირებდა გამგზავრებას და დაჯდებოდა აქლემზე - სამჯერ განადიდებდა ალლაჰს“. (გადმოსცა მუსლიმმა)

ასევე, ალლაჰის განდიდება დაკანონებულია დიდებული და საოცარი ადგილებისა და ქმნილებების დანახვაზე;

თქვა ჯააბირმა(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): „როდესაც ჩვენ ავდიოდით რაიმე სიმაღლეზე ვადიდებდით ალლაჰს“. (გადმოსცა ბუხარიმ) და როდესაც მიწიდან რაიმე სიმაღლეზე ადიოდნენ ადიდებდნენ ალლაჰს.

მუსლიმი ასრულებს თავის დღეს ალლაჰის განდიდებით, როდესაც მუსლიმი დააპირებს დაძინებას თავის ლოგინზე შეაქოს ალლაჰი ოცდაცამეტ ჯერ და განადიდოს ალლაჰი ოცდაცათოთხმეტ ჯერ.

სწორი გზა არის დიდებული მოწყალება, რომელსაც აქვს მადლიერების უფლება. მადლიერება გამოიხატება მისი განდიდებით მარხვის შემდეგ; თქვა ყოვლადქებულმა:

﴿لَن يَنَالَ ٱللَّهَ لُحُومُهَا وَلَا دِمَآؤُهَا وَلَٰكِن يَنَالُهُ ٱلتَّقۡوَىٰ مِنكُمۡۚ
كَذَٰلِكَ سَخَّرَهَا لَكُمۡ لِتُكَبِّرُواْ ٱللَّهَ عَلَىٰ مَا هَدَىٰكُمۡۗ﴾

„არ მიაღწევს ალლაჰამდე მათი ხორცნი და სისხლი, არამედ ალლაჰთან მიაღწევს თქვენი ღვთისმოშიშობა. ამგვარად დაგიმორჩილათ მან ისინი, რათა განადიდოთ ალლაჰი იმისათვის, რომ დაგადგინათ ჭეშმარიტ გზაზე“. (ალ-ჰაჯჯ: 37)

ხოლო ვინც ემადლიერება ალლაჰს მისი სწორ გზაზე მტკიცედ დაყენების გამო, განადიდოს ის მასზე თაყვანისცემით, თქვა ალლაჰმა:

﴿وَلِتُكۡمِلُواْ ٱلۡعِدَّةَ وَلِتُكَبِّرُواْ ٱللَّهَ عَلَىٰ مَا هَدَىٰكُمۡ وَلَعَلَّكُمۡ تَشۡكُرُونَ﴾

„და ადიდოთ ალლაჰი იმისათვის, რომ ჭეშმარიტ გზას დაგადგინათ. ეგებ მადლიერნი იყოთ!“ (ალ-ბაყარა : 185)

თაქბირი დაკანონებულია დიდებულ ადგილებსა და მდგომარეობაზე, თქვა შეიხულ ისლამმა (ალლაჰმა

შეიწყალოს ის): „თაქბირი(განდიდენა) დაკანონებულია სწორ გზაზე, შეძლებულებაზე და გამარჯვებაზე; რადგანაც ეს სამი არის უდიდესი რამ, რაც შეიძლება მიიღოს მონამ და ეს არის საერთო სარგებელი, რასაც ის მიიღებს ამქვეყნად“.

„ალლაჰუ აქბარ“ არის უდიდესი სიტყვა, რომელიც ბრძანა ალლაჰმა; იმისთვის, რომ მისმა დიდებამ დაისადგუროს გულებში, თქვა ყოვლადქებულმა:

﴿وَرَبَّكَ فَكَبِّرْ﴾

„განადიდე შენი ღმერთი“ (ალ-მუდასსირ:3)

. თქვა ყურტუბიმ: „ამბობენ: უდიდესი სიტყვა არაბებში არის თავისი მნიშვნელობით გნდიდება: ალლაჰუ აქბარ(დიდება ალლაჰს)“. ის არის ალლაჰის მიერ ბუნებით ჩადებული ხალხში. თქვა ანას იბნ მალიქმა(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): „შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გაიგონა თუ როგორ ამბობდა ერთი კაცი: „ალლაჰუ აქბარ, ალლაჰუ აქბარ“. შუამავალმა თქვა: **„ის ფიტრაზეა(თანდაყოლილია)“.** (გადმოსცა მუსლიმმა)

მისი მადლი არის უმაღლესი, და მისით მაღლდება საფეხურები, ის არის სიტყვა, რომელიც უყვარს ალლაჰს; თქვა შუამავალმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას):

„ალლაჰისთვის საყვარელი სიტყვა არის ოთხი: სუბჰანალლაჰ(ქება ალლაჰს), ალჰამდულილლაჰ (დიდება ალლაჰს), ლაა ილაჰა ილლა ლლაჰ(არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა), ალლაჰუ აქბარ (ალლაჰი უდიდესია).“ (გადმოსცა მუსლიმმა)

„ზეცაში ანგელოზები შლიან ფრთებს ალლაჰის ხსენებოთ და განდიდებით“. (შეთანხმებული)

ალლაჰის განდიდება, ქება და ერთადერთობა ხსნის ზეცის კარებს; თქვა იბნ უმარმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) :

„როდესაც ჩვენ შუამავალთან ერთად ვლოცულობდით, ერთმა კაცმა თქვა სიტყვები: ალლაჰუ აქბარ ქაბიირა, ვალჰამდულილლაჰი ქასიირა, ვა სუბჰანალლაჰი, ბუქრათან ვა ასილა, შუამავალმა თქვა: ვინ იყო ამ სიტყვების წარმოთქმელი? უთხრეს ესა და ეს კაცი იყო. მაშინ შუამავალმა თქვა: გამაკვირვა მან; რადგანაც გაიხსნა მისთვის ზეცის კარები“. (გადმოსცა მუსლიმმა)

და ის სიტყვა მძიმეა სასწორზე; თქვა შუამავლმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას):

„საუკეთესოა ოთხი რამ, რომელიც ამძიმებს სასწორს: ლაა ილააჰა ილლა ლლაჰ, ალლაჰუ აქბარ, სუბჰანალლაჰ და ალჰამდულილლაჰ...“. (გადმოსცა აჰმადმა)

და შემდეგ, ჰეი მუსლიმებო:

ალლაჰი დიდია და არავინაა მასზე დიდი, მას ეკუთვნის დიდება ზეცასა და დედამიწაზე, მისი დიდება არის ისეთი რამ, რასაც ქმნილებების გონება ვერ მიაღწევს ჭეშმარიტ აღქმას, რასაც მას შეუძლია, რომ წარმოადგინოს ეს არის იმის ცოდნა, რომ ის ყველა ქმნილებაზე დიდი და ძლევამოსილია.

„ის დადებს ცებს ერთ თითზე, ორ დედამიწას ერთ თითზე, ხეებს ერთ თითზე, მიწას და წყალს ერთ თითზე, და მოძრავ ქმნილებებს ერთ თითზე“. (შეთანხმებული)

მორწმუნე მხოლოდ თავის დიდებულ ღმერთს შეეფარება, აფასებს მას და მის რელიგიას, მიანდობს საკუთარ თავს და თავის საქმეებს მხოლოდ მას, მას შესთხოვს და მხოლოდ მასზეა მიჯაჭვული.

ალლაჰს შევეფარები ქვით ჩაქოლილი ეშმაკისგან

﴿وَمَا قَدَرُواْ ٱللَّهَ حَقَّ قَدۡرِهِۦ وَٱلۡأَرۡضُ جَمِيعٗا قَبۡضَتُهُۥ يَوۡمَ ٱلۡقِيَٰمَةِ وَٱلسَّمَٰوَٰتُ مَطۡوِيَّٰتُۢ بِيَمِينِهِۦۚ سُبۡحَٰنَهُۥ وَتَعَٰلَىٰ عَمَّا يُشۡرِكُونَ﴾

„ვერ შეაფასეს მათ ღმერთი ჯეროვნად! არადა მთელი დედამიწა მის ხელში აღმოჩნდება აღდგომის დღეს! ხოლო ზეცა ჩაიხვევა მის მკლავქვეშ! ქება–დიდება მას და დიდებულია იგი იმაზე! რასაც თანაზიარად უდგენენ!“ (აზ-ზუმერ:67)

ალლაჰმა ბარაქა მოგვცეს წმინდა ყურანში მეც და თქვენც...

მეორე ქადაქება

დიდება ალლაჰს მისი მოწყალებისთვის, მადლობა მას შეწევნისთვის და მისი შეცნობისთვის. მე ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღვთაება ღირსეული თაყვანისცემისა გარდა ალლაჰისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზაირი მის დიდებულ საქმეში. და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მონა და მოციქულია. ალლაჰმა დალოცოს ის, მისი ოჯახი და მისი საჰაბები უამრავი დალოცვით.

ჰეი მუსლიმებო:

არ არის ბედნიერება და კეთილდღეობა მონისთვის, და არც ნეტარება მისი ღმერთის შეცნობის გარეშე, ის არის ერთადერთი მათი მოთხოვნილების დასასრული, მისი შეცნობა მათი თვალების სიხარულია, მისი განდიდება თაყვანისცემაა, ალლაჰი ემუქრება იმას, ვინც შეეცდება, რომ მას მიემსგავსოს; თქვა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

„დიდება მისი იზარია, სიამაყე მისი სამოსია, და ვინც შემეკამათება ამათგან რაიმეში, ის მიიღებს ჩემს სასჯელს“. (გადმოსცა მუსლიმმა)

თქვა იბნულ ყაიმმა: „როდესაც სიამაყე უდიდესი და უფართოვესია, ის იმსახურებს ეწოდებოდეს სამოსად“.

ის აფრთხილებს მონას ქმნილებებზე სიმაყის გამოჩენისგან დედამიწაზე, რომ გამოიჩინოს სიდიადე მათზე და დაჩაგროს ისინი, და რომ მოაქციოს ქმნილებები მისი ძალის ქვეშ და მოინდომოს, რომ დაჩაგროს სისტი, მაგალითად, საკუთარი ცოლი. მაშინ გაიხსენოს მან, რომ

ალლაჰი მასზე დიდია, ჭეშმარიტად ალლაჰი მათზე ზემოთა თავისი შეძლებით და დიდებით, ვინც შეიცნო ალლაჰი მიხვდა, რომ ის უდიდესია; თქვა ალლაჰმა:

﴿فَإِنْ أَطَعْنَكُمْ فَلَا تَبْغُواْ عَلَيْهِنَّ سَبِيلًاۗ إِنَّ ٱللَّهَ كَانَ عَلِيًّا كَبِيرًا﴾

„მაგრამ თუ მორჩილნი გახდნენ, გზას ნუღარ ეძებთ მათ წინააღმდეგ. ჭეშმარიტად, ალლაჰი უზენაესი, დიდებულია.“ (ან-ნისა:34)

მოემატა მას მისი შიში, განადიდა ის, შეიყვარა და საუკეთესოდ ეთაყვანა მას. გამოვიდა მისი გულიდან სიამაყე, თავმოყვარეობა და თვალთმაქცობა.

სამოთხე არის ღვთიშმოშიში მორწმუნეებისთვის, თქვა ალლაჰმა:

﴿تِلْكَ ٱلدَّارُ ٱلْـَٔاخِرَةُ نَجْعَلُهَا لِلَّذِينَ لَا يُرِيدُونَ عُلُوًّا فِي ٱلْأَرْضِ وَلَا فَسَادًاۚ وَٱلْعَٰقِبَةُ لِلْمُتَّقِينَ﴾

„სწორედ ის საბოლოო სამყოფელი დავადგინეთ მათთვის, რომელთაც არ სურთ გამედიდურება დედამიწაზე და უკეთურობის გავრცელება, ხოლო კეთილი ბოლო ღვთისმოშიშებისაა“. (ალ-ყასას:83)

შემდეგ ალლაჰმა გიბრძანათ, რომ დალოცოთ და მიესალმოთ მის შუამავალს...

خطبة الجمعة

١٤٤٥/٤/١٢هـ 2023/10/27 م

لفضيلة الشيخ الدكتور :

د. عبد المحسن بن محمد القاسم

إمام وخطيب المسجد النبوي الشريف

بعنوان

التَكبِيْر

مترجمة باللغة الجورجية

a-alqasim.com